თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი № 16

„23“ აგვისტო 2019 წ. ქ. თელავი

თავმჯდომარეობდა : თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი,** სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე,** საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი,** ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე **ლევან ლილუაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი,** ფრაქციის „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი,** საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარე **გიორგი ჩაბრაშვილი,** ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი,** ფრაქციის „ძლიერი სოფელი“ თავმჯდომარე **ალექსანდრე კუპატაძე.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე **გიგა მამუკელაშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**

საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოწვეული სპეციალისტი **ლია ფარსადანიშვილი;**

საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის და პიარის სპეციალისტი **ნიკოლოზ ესიტაშვილი.**

<u>დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების და შვებულების შესახებ.
3. მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის მიმოხილვის შესახებ.

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოსულ პროექტებთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს: **ნ.ვაყელიშვილმა და გ.თავბერიძემ.**

**ა.შათირიშვილმა** - მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ პროექტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სახით ქონების გადაცემა კომისიას მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ბიუროს წევრების მიერ ასევე აღინიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შემთხვევაში უნდა იკვეთებოდეს მუნიციპალიტეტის ინტერესები, წარმოდგენილ პროექტში კი არ ჩანს თუ რას მიიღებს სანაცვლოდ მუნიციპალიტეტი.

„თელავის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ" პროექტი კონსულტაციისათვის გადაგზავნილია მთავრობის ადმინისტრაციაში, აღნიშნულიდან გამომდინარე, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი არ იქნას შეტანილი საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

**ნ.ხვისტანმა** საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შესატანად წარმოადგინა საკითხები:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ცვლილებების შეტანის თაობაზე.

2. თელავის საკრებულოს წევრის ლევან ოთიურიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

გადაწყვიტეს: **მიმდინარე წლის 30 აგვისტოს, 11.00 საათზე მოწვეულ იქნეს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:**

3. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე".

   მომხს.ნ.ვაყელიშვილი
   11.00სთ-დან 11.20სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადებისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

   მომხს. გ.თავბერიძე
   11.20სთ-დან 11.35სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შ.პ.ს. „საფეხბურთო კლუბი თელავისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

11.35სთ-დან 11.50სთ-მდე

6. უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

11.50სთ-დან 12.00სთ-მდე

7. ქ.თელავში, ალაზნის გამზირზე მდებარე 30 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესხებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.00სთ-დან 12.15სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 მარტის №19 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. დ.ქსოვრელიშვილი

12.15სთ-დან 12.30სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 თებერვლის N9 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხს.ნ.ხვისტანი

12.30სთ-დან - 12.45სთ-მდე

10. თელავის საკრებულოს წევრის ლევან ოთიურიძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის ცნობად მიღების შესახებ.

მომხს.ნ.ხვისტანი

12.45სთ-დან - 13.00სთ-მდე

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მივლინების და შვებულების შესახებ.

**თავმჯდომარემ** აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 5-9 სექტემბერს დაგეგმილია მისი მივლინება ლიეტუვის ქალაქ კედანიაში, ხოლო 12-15 სექტემბერს პოლონეთის ქალაქ „ზელონა გორში“. აღნიშნულ მივლინებებს შორის პერიოდში კი 10-11 სექტემბერს ისარგებლებს შვებულებით.

<u>გადაწყვიტეს:</u> საკრებულოს თავმჯდომარის მივლინებები და შვებულება მიღებულ იქნეს ცნობად.

3.მოისმინეს: მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის 6 თვის მიმოხილვის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: გ.მამუკელაშვილმა, გ.ორკოდაშვილმა დასვეს კითხვები ქონების გადასახადის მუხლში ჭარბი შემოსავლების შემოსვლის მიზეზების შესახებ.

დ.გოგოშვილმა კი ისაუბრა იმის თაობაზე, რომ კომისიის მიერ დამაკმაყოფილებლად იქნა შეფასებული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 6 თვის მიმოხილვა, რადგან არსებული ნაშთის ოდენობა განპირობებულია ქონების გადასახადის შემოსვლით და იმ გარემოებებით, რომ ამ ეტაპზე გასასტუმბრებელია გარკვეული ვალდებულებები.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე